In fact, Georgia is under conditions of war with Russia which makes the security of Georgia even more vulnerable, because our country has no alternative to prevent threats coming from Russia. The "Package of Necessary Measures" adopted at Wales Summit of NATO in 2014 does not fundamentally change anything in terms of strengthening defensibility of the country and only causes irritation of Russia. This summit once again showed that the member states of NATO do not have a common position in connection with joining NATO by Georgia. Meanwhile, Russia continues conducting its crawling annexation policy which has covered not only the administrative borders of the conflict zones but also the entire perimeter of the border with Russia. 1605 m section of 830 km Baku-Supsa pipeline was included within occupied borders which puts the security of the South Caucasian energy corridor under a serious threat.

The analysis of security issues of Georgia during 1991-2015 showed that the neo-imperialist policy of Russia represents the greatest challenge for Georgia as an independent and sovereign state. Georgia and the Georgian people have a right to live in a powerful, peaceful and democratic state which will be oriented at liberal values and principles of supremacy of law.

The revanchist policy of the current Russian government has achieved a certain success: borders of the country have been expanded to the west and to the south, Russia has full control over Azov Sea basin, its struggles for gaining control over the Black Sea basin and more importantly, it has restored its status quo in the South Caucasus. Therefore, the attempt of the Russian government to be restored as a superstate represents a challenge not only for Georgia but also poses threat to peace and stability in the entire whole.

Gela Tsaava

PhD in Russian Studies, Tbilisi, Georgia

Sustainable Energy Policy in the Countries of South Caucasus Region

The strategic location of the South Caucasus region and its energy resources have played a major role in increasing the importance of the region and drawing international attention to it since the collapse of the Soviet Union. Major investment was made in new pipelines and the search for new oil and gas deposits. New strategic projects aimed at diversifying sources of energy supplies to EU countries bypassing Russia have emerged since 2006.

Correspondingly, the region has found itself facing new political challenges, which simultaneously provide an opportunity for integration into the European energy area. In addition to pipelines, a number of infrastructure projects that are to transform South Caucasus countries into electricity exporters are planned and/or implemented over the past five years.

The political, economic, and social challenges Azerbaijan, Armenia, and Georgia face at present fully differ from each other and different paths have been chosen to cope with their respective challenges.

Having signed the Association Agreement with the EU, Georgia continues to follow its path towards Europe; Armenia chose to join the Russian-led Eurasian Union; and Azerbaijan takes maximum advantage of its abundant energy resources and is in no hurry to implement standards established by the West.

The energy sectors in the three countries have different vectors of development. Due to its geopolitical location, Armenia has failed to renounce its nuclear power plant up to now, believing that the construction of a new nuclear reactor is of vital importance for its energy independence.

Georgia plans to make maximum use of existing hydro resources at its disposal, and Azerbaijan is trying to diversify markets for the export of its energy resources. Therefore, we chose the visual structure of the publication in accordance with these characteristic features.

The three countries of the South Caucasus – Armenia, Azerbaijan and Georgia – face major challenges in making their respective energy sectors' sustainable. Although all three are participants in the EU's European Neighborhood Policy and Eastern Partnership initiatives, future EU integration perspectives and challenges differ substantially in each case.

All three countries share a common heritage. Their energy systems and infrastructures were designed for regional integration within the Soviet energy system. In that integrated power system, Armenia's nuclear power plant delivered the base load while Azerbaijan supplied the fossil-fired medium-load and Georgia's hydropower plants were available for peak-load supply. The collapse of the Soviet Union resulted in disintegration of the energy systems and economies of the three countries.

In addition, the 1987-1991 Nagorno-Karabach conflict and regional civil wars in the early 1990s created political instability. Thus, the countries were compelled not only to secure and stabilize their national energy supplies, which included refurbishing power plants and electricity and gas infrastructure, but also to determine which regional economic space they wanted to belong to. The fact that the pending conflict between Armenia and Azerbaijan prevents cost-effective solutions for energy exchange and transportation in the region also poses problems.

All three countries have substantial hydropower and other renewable energy potential, but the endowment of fossil energy resources differs widely. Armenia possesses almost no fossil fuels and thus relies on imports.

In Georgia, energy imports are less significant (70% of energy consumed rather than 90% for Armenia) but natural gas prices are lower because of in-kind payments for pipeline transit. In contrast, Azerbaijan is well endowed with both oil and gas reserves.

Over the past 20 years, energy's share of GDP has decreased substantially in all three countries. The most impressive results were achieved in Azerbaijan, mainly due to very rapid economic growth spurred by oil and gas exports. The countries have now to decide the future design and capacities of their energy systems.

The main challenge concerns how further economic growth and social wellbeing can be achieved while avoiding increases in GHG emissions and further dependency on energy imports. For that purpose, policies and instruments need to develop ways to attract investment conducive to meet development goals while also using energy sources in the most efficient manner.

The three countries of the South Caucasus – Armenia, Azerbaijan and Georgia – face major challenges in making their respective energy sectors' sustainable. All three integrated in the European Neighborhood Policy and the Eastern Partnership of the EU. While Georgia is a candidate and signed the negotiation agreement with the EU in 2014, Armenia is an observer since 2010 but refused to sign the Association Agreement in September 2013.

Instead, in January 2015, the country has joined the Russia-led Eurasia Customs Union with hope to gain more security and economic stability. For all three countries, however the harmonization process is still in place and involves modern energy and climate legislation.

The collapse of the Soviet Union resulted in disintegration of the three countries' energy systems and economies. In addition, the Nagorno-Karabach conflict between 1987 and 1991, and civil wars in early 1990s created political instability. Thus, the countries had to secure and stabilize national energy supply, which includes refurbishing power plants and electricity and gas infrastructure.

However, the pending conflict between Armenia and Azerbaijan prevents cost effective solutions for energy exchange and transportation in the region. Endowment of natural energy resources differs widely between the countries as do economic growth performance and population growth.

Structural changes in the economy (changing shares of industries and sub-sectors with different energy efficiency levels), prices, business cycles, weather conditions etc. have a significant impact.

For example, the sharp GDP growth in Azerbaijan boosted by large oil and gas exports is the main underlying factor for the observed decrease in energy intensity of GDP in this country. This does not per se imply similar energy efficiency improvement in existing sectors of the economy.

Sustainable development stands for meeting the needs of the present without compromising the ability of future generations to meet their needs (WCED, 1987). Sustainable energy development, therefore, seeks to satisfy energy needs considering at the same time social, economic and environmental consequences, when choosing energy fuels and associated technologies for the production, delivery and use of energy services.

Therefore, energy security, economic affordability and environmental integrity, are the main aspects of sustainable energy development. The main pillars of sustainable energy supply are the rational use of energy resources (energy efficiency) and the use of renewable energies in order to reduce the impact of fossil fuel energy consumption on climate change.

As market failure considered a major barrier to developing, the EE and RE potential, respective political targets embedded in a long-term sustainable energy strategy need to be set. Policies and instruments implemented in the EU usually include a comprehensive set of fiscal, financial, legal, technological, institutional, cooperative and informational instruments.

თამთა ბოკუჩავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისი, საქართველო

სეკულარიზმიდან პოლიტიკურ ისლამამდე

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში თურქეთში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს. თურქულმა საზოგადოებამ უფრო კომპლექსური და დიფერენცირებული სახე მიიღო. ძალაუფლება მოიპოვა პოლიტიკოსების, ბიზნესმენებისა და აქტივისტების ახალმა თაობამ. სწორედ ასეთი საზოგადოების სახეს წარმოადგენს სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AdaletveKalkinmaPartisi – AKP). ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ, AKP ხელისუფლებაში ყოველთვის უმრავლესობის სახით იყო წარმოდგენილი. 2007 წ. აპრელ ნეჯდეთ სეზერის მიერ პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტად AKP-ს ერთ-ერთი დამაარსებელი – აბდულა გიული აირჩიეს.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ გატარებული რეფორმები თურქეთს საშუალებას აძლევდა პოლიტიკური და სამართლებრივი სტანდარტებით დასავლეთის ნაწილი გამხდარიყო, ამასთან, შეენარჩუნებინა კულტურული და რელიგიური თავისებურებები. AKP-ს მმართველობამ პირველი 10 წლის განმავლობაში ქვეყანას მოუტანა მშვიდობა, პოლიტიკური სტაბილურობა, მზარდი ეკონომიკა და დემოკრატიისა და საკანონმდებლო სისტემის განვითარება.

თურქეთის მმართველი, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ბირთვი 2001 წელს ღირსების პარტიის რიგებიდან გამოსულმა ახალგაზრდა ისლამისტებმა ჩამოაყალიბეს. 2002 წლის არჩევნებში ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ, AKP ხელისუფლების სათავეში მოვიდა. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის პოლიტიკური ხედვა მთლიანად იყო განპირობებული კეთილდღეობისა და ღირსების პარტიების რიგებში მიღებული გამოცდილებით. ისინი აქტიურად უჭერდნენ მხარს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, უსამართლობასთან, კორუფციასა და არათანაბარუფლებიანობასთან ბრძოლას. ხელისუფლების სათავეში მოსული სამართლიანობისა და განვითარების პარტია აქტიურად მოუწოდებდა რელიგიური ტოლერანტობის, ლიბერალური ეკონომი-

მიკისა და დემოკრატიისაკენ. ამან მმართველი პარტიისადმი არა მარტო კონსერვატორების, არამედ ლიბერალების მხარდაჭერაც განაპირობა, რამაც, თავის მხრივ, საშუალება მისცა პროისლამურ პარტიას შეენარჩუნებინა ხელისუფლება სეკულარულ სახელმწიფოში.

ყველა წინამორბედ ისლამურ პარტიას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სამხედრო გადატრიალების შედეგად საქმიანობა აეკრძალა. 2008წ. ჟურნალი „ეკონომისტი“ წერდა: ისლამურ სამყაროში ავტორიტარული რეჟიმები ხშირად კრძალავენ რელიგიურ პარტიებს, რის შემდეგაც ეს პარტიები იატაკქვეშეთში ინაცვლებენ. თურქმა ისლამისტებმა განსხვავებული გზა აირჩიეს. მათ უარი თქვეს ძალადობაზე და თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს დემოკრატიის ძირითადი პრინციპები. ყველა მომდევნო ისლამური პარტია უფრო ზომიერი და პრაგმატული იყო, მათ შორის კი სამართლიანობისა და განვითარების პარტია იყო ყველაზე ზომიერი და პროდასავლური.

AKP-ს დამაარსებლები პარტიის რელიგიური ტერმინით განსაზღვრის მოწინააღმდეგეები იყვნენ. „ჩვენ არ ვართ ისლამური პარტია, არც მუსლიმი დემოკრატები“ – განაცხადა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა 2005 წ. საწინაცვლოდ იგი პარტიის კურსს განსაზღვრავს, როგორც „კონსერვატულ დემოკრატია“. პარტიის ოფიციალურ პროგრამაში განსაზღვრულია, რომ კონსერვატული დემოკრატია დაუშვებლად მიიჩნევს სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ წყობაში ნებისმიერ ჩარევას, ასევე ისტორიულად ჩამოყალიბებული ინსტიტუტების და წესების შეცვლას. იგი უარყოფს საზოგადოების ზემოდან რეფორმირებას, ამის ნაცვლად მხარს უჭერს ცვლილებების ბუნებრივ, თანმიმდევრულ პროცესს. მხოლოდ ასეთი სახის ტრანსფორმაცია შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერდოღანმა შეგნებულად გამოიყენა ტერმინი „კონსერვატული დემოკრატია“, ამოიღო რა სიტყვა „ისლამური“ პარტიის განსაზღვრებიდან და იგი ევროპულ მაგალითზე ქრისტიან-დემოკრატების ანალოგად წარადგინა.

AKP-მ დემოკრატიული რეფორმები და ევროკავშირში შესვლა პოლიტიკური კურსის პრიორიტეტად განსაზღვრა. ამან თურქი ბიზნესმენების, ლიბერალი ინტელექტუალებისა და პრაგმატული საშუალო ფენის მხარდაჭერა მოუტანა. ამგვარი პოლიტიკური კურსის შედეგად პარტიამ ლეგიტი-

მაცია მოიპოვა სამხედროების თვალშიც. სოციალური რეფორმებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მინიჭების შემდეგ კი, AKP-მ ასევე მოახერხა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის მხარდაჭერის მოპოვებაც.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ AKP-ს წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაციონალიზმის ფაქტორმაც, რომელიც თურქეთის ყველა პოლიტიკური პარტიისათვის არის დამახასიათებელი. ისლამური ნაციონალიზმი მკვეთრად ანტიდასავლური და ანტისემიტურია. ხელისუფლების სათავეში მოსვლის პირველ პერიოდში სამართლიანობისა და განვითარების პარტია გაემიჯნა ამგვარ პოლიტიკურ კურსს, თუმცა ბოლო პერიოდში პარტიის ლიდერებისგან ხშირად ისმის ანტიდასავლური რიტორიკა. მთავრობის განცხადებების მიხედვით, ყველა, ვინც ისლამური კონსერვატიზმის წინააღმდეგ გამოდის, მხარს უჭერს არადემოკრატიულ, ელიტაზე დამყარებულ რეჟიმს და ჭეშმარიტი თურქი ერის მოწინააღმდეგეა. სწორედ ამგვარი მიდგომის მემკვიდრით გაემიჯნა თურქეთის ხელისუფლებამ 2013 წ., გეზის პარკის გამოსვლების დროს, დემონსტრანტები „ნამდვილი თურქული საზოგადოებისაგან“.

2002-2006 წწ. სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ გაატარა რიგი რეფორმებისა, რათა თურქეთის საკანონმდებლო სისტემა, ადამიანის უფლებები და ურთიერთობა სამხედროებსა და საზოგადოებას შორის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოეყვანა. ამის შემდეგ მან ყურადღება გაამახვილა ჯანდაცვისა და იპოთეკური კრედიტების ხელმისაწვდომობაზე, გაზარდა სტუდენტების დაფინანსება, გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა და პრიორიტეტად აღიარა უმცირესობების (ქურთები და არამუსლიმები) უფლებები. 21-ე საუკუნის I ათწლეულში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებთა რაოდენობა 16%-დან 5%-მდე შემცირდა. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ სწრაფი განვითარება შეეხო არა მარტო ცენტრალურ ქალაქებს, ანკარას, სტამბოლსა და იზმირს, არამედ ცენტრალური და აღმოსავლეთ თურქეთის სხვა დასახლებულ პუნქტებსაც: დენიზლი, კაისერი, კონია გაზიანთეფი და ა.შ.

2001 წ. ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, AKP-მ ქვეყნის ფეხზე დაყენება მოახერხა. 2002-2011 წწ. თურქეთის ეკონომიკა წლიურად საშუალოდ 7,5%-ით იზრდებოდა. ინფლაციის დაბალმა დონემ და კრედიტებზე დაბალმა საპროცენტო განაკვეთმა თურქეთი მიმზიდველი გახადა უცხოური

ინვესტიციებისათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ, მართალია, თურქეთის ეკონომიკური განვითარება ძირითადად AKP-ს სახელთან ასოცირდება, მასში დიდი წვლილი ეჯევითის მთავრობის ეკონომიკის მინისტრის, ქემალ დერვიშის, მიერ შემუშავებულმა ეკონომიკური რეფორმების პაკეტმა შეიტანა.

თურქული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების პროგრამის ფარგლებში სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ გააუქმა კანონების ნაწილი, რომლებიც ქალების უფლებებს ზღუდავდა. მიუხედავად ამისა, AKP კონსერვატულ და პატრიარქალურ პარტიად რჩება. თავად ერდოღანის ოჯახური ღირებულებები და დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ შორს არის პროგრესულისგან. ეს რეფორმა მთავრობამ გამოიყენა საჯარო სამსახურებსა და სასწავლებლებში თავსაბურავის ტარების აკრძალვის გასაუქმებლად. არსებული კონსტიტუცია განსაკუთრებულად მკაცრი იყო მუსლიმი ქალების მიმართ. ოფიციალურ ღონისძიებებზე, საჯარო უნივერსიტეტებში და სამსახურებში არ დაიშვებოდნენ ქალები, რომლებიც ატარებდნენ ჰიჯაბს ან რაიმე სახის თავსაბურავს. პარტიისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავსაბურავის ტარების აკრძალვის მოხსნა ჯერ საჯარო სამსახურებში, შემდეგ უნივერსიტეტებში და, ბოლოს, საშუალო სკოლებში.

2003-2004 წწ. სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ გაატარა რეფორმათა შვიდი პაკეტი. მათ შორის იყო კანონები, რომლებიც: ართულებდა პოლიტიკური პარტიების დახურვას, აძლიერებდა პიროვნულ თავისუფლებას და ამცირებდა გენშტაბის უფლებებს. 2005 წ. თურქეთმა ევროკავშირთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, მაგრამ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2015 წლისათვის შეთანხმების 35 პუნქტიდან მხოლოდ ერთი იყო შესრულებული. არსებობს მოსაზრება, რომ AKP თავიდანვე არ იყო დაინტერესებული ევროკავშირის წევრობით და მან ეს პროცესი ძალაუფლების მოპოვებისა და მისთვის სასურველი რეფორმების გატარებისათვის გამოიყენა.

სამართლიანობისა და განვითარების პარტია დემოკრატიული რეფორმების გატარებისას აქტიურად დაუპირისპირდა თურქეთის შეიარაღებულ ძალებს. არმია თურქეთში საკუთარ თავს ქემალისტური იდეოლოგიის მთავარ დამცველად წარმოაჩენდა. 1999 წ. ჰელსინკის სამიტის

შემდეგ, როდესაც თურქეთი ევროკავშირის წევრობის კანდიდატად აღიარეს, ქვეყანაში აქტიურად დაიწყო სამხედროების პოლიტიკაში ჩართულობის კრიტიკა. ევროკავშირთან ჰარმონიზაციის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ხელისუფლებაში ახლად მოსულმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ დაიწყო დემოკრატიული რეფორმების გატარება, რომელსაც ეს უკანასკნელი აქტიურად იყენებდა ქვეყნის პოლიტიკაზე სამხედროების გავლენის შესასუსტებლად. ევროკავშირის მოთხოვნები და დემოკრატიზაციის პროცესი იდეალური არგუმენტი იყო AKP-სათვის სამხედროების წინააღმდეგ. შესაბამისად, თურქეთის შეიარაღებული ძალები, რომელიც ქვეყნის ვესტერნიზაციისათვის იბრძოდა, იძულებული გახდა მიეღო მიმდინარე რეფორმები.

პირველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მარცხი თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჯერ კიდევ 2004 წ. განიცადა, როდესაც კვიპროსში სამხედროების მოქმედებამ AKP-ს წინააღმდეგ კინაღამ თურქეთის ეროვნული ინტერესები შეიწირა. ამ ინციდენტის შემდეგ მნიშვნელოვნად შეირყა საზოგადოების ნდობა შეიარაღებული ძალების მიმართ.

დაპირისპირება სამხედროებსა და მთავრობას შორის კიდევ უფრო გაძლიერდა 2006-2008 წწ., როდესაც ხელისუფლებამ უმაღლეს სასწავლებლებში ისლამური ტანისამოსისა და თავსაბურავის ტარებაზე აკრძალვის მოხსნა გადაწყვიტა.

არმია აქტიურად გამოვიდა აბდულა გიულის პრეზიდენტობის წინააღმდეგ. მათ შეიარაღებული ძალების ვებგვერდზე გამოაქვეყნეს მემორანდუმი, რომელშიც შეშფოთება გამოთქვეს AKP-ს პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ და საჭიროების შემთხვევაში ზომების მიღებით დაიმუქრნენ. ამის საპასუხოდ, 2007 წ. ვადამდელი არჩევნები დაინიშნა, სადაც სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ხმების უმრავლესობა მოიპოვა. ამავე წელს მთავრობამ საქმე აღძრა ორგანიზაცია „ერგენეკონის“ წინააღმდეგ, რომელსაც, სავარაუდოდ, კავშირი ჰქონდა თურქეთის შეიარაღებულ ძალებთან. პროკურორი ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობაში ადანაშაულებდა ასობით სამხედრო მაღალჩინოსანს, ჟურნალისტს და პოლიტიკურ აქტივისტს. გამოამჟღავნებული დოკუმენტებიდან ჩანდა, რომ „ერგენეკონი“ რამდენიმე აფეთქებისა და მკვლელობის საქმეებთან იყო დაკავშირებული. ამით უნდა შექმნილიყო ქაოსი ქვეყანაში, რაც სამხედრო გა-

დატრიალების გასასამართლებელი საბუთი გახდებოდა. კრიტიკოსები შემოთავაზებდნენ, რომ აღნიშნული საქმე შესაძლოა მთავრობის მიერ იყო ფალსიფიცირებული და ხელისუფლება მას სეკულარისტი მოწინააღმდეგეების გასაჩუმებლად იყენებდა. ასეთი განცხადებების მიუხედავად, ბოლო პერიოდში სამხედროების ქმედებებით უკმაყოფილო საზოგადოებამ თვალი დახუჭა მთავრობის შესაძლო უკანონო საქმიანობაზე.

AKP შეეცადა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში სამოქალაქო პირების რაოდენობის გაზრდას (1960 წ. პირველი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, დაარსდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი იყო სახელმწიფო პოლიტიკაზე სამხედროების გავლენის გასაძლიერებლად. ყოველი მომდევნო სამხედრო გადატრიალება კომიტეტის უფლებებს კიდევ უფრო აფართოებდა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამხედროები ხელისუფლებას ყოველთვის აბრუნებდნენ სამოქალაქოების ხელში. 1990-იან წლებში თურქეთის შეიარაღებული ძალები იმდენად გაძლიერდა, რომ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა უკვე არა მარტო თურქეთის პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებაში, არამედ მის აღსრულებაშიც. იგი განსაზღვრავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო საფრთხეებს, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს და სამოქალაქო ხელისუფლების გვერდის ავლით აფორმებდა ხელშეკრულებებს უცხო ქვეყნებთან). სურდათ, საბჭოს თავმჯდომარედ აერჩიათ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი; აღარ ყოფილიყო აუცილებელი უმაღლესი სასწავლებლების, რადიოსა და ტელევიზიის სამმართველო კომიტეტებში სამხედრო წარმომადგენლის არსებობა.

AKP-სა და თურქეთის შეიარაღებულ ძალებს შორის დაპირისპირება ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზეც აისახა. სამხედროები ჩრდილოეთ ერაყში ქურთისტანის რეგიონულ მთავრობასთან დიალოგის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ისინი ამხვილებდნენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ქურთისტანის რეგიონული მთავრობა PKK-ს (PartiyaKarkerenKurdistan – ქურთისტანის მუშათა პარტია) უჭერდა მხარს. სამხედროების ასეთი განცხადებები მთავრობამ „კერძო აზრად“ შერაცხა. „არის ადგილები, სადაც სამხედროები უნდა საუბრობდნენ და არის ადგილები, სადაც დიპლომატები უნდა საუბრობდნენ“ – განაცხადა აბდულა გიულმა.

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდა 2007 წ. 7 ოქტომბერს PKK-ს მიერ 15 თურქი ჯარისკაცის მკვლელობა გაზარის მთებში, რის შემდეგაც ზეწოლა ხელისუფლებაზე გაიზარდა და იგი იძულებული გახდა ჩრდილოეთ ერაყში სამხედრო ოპერაციის სანქცია გაეცა. ნოემბერში, აშშ-ის პრეზიდენტ ბუშთან მოლაპარაკების შემდეგ, 16-23 დეკემბერს და 2008 წ. 16 იანვარს თურქეთმა განახორციელა რიგი საჰაერო და სახმელეთო ოპერაციები ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე.

იმის მიუხედავად, რომ მეჯლისმა შეიარაღებულ ძალებს ერაყის ტერიტორიაზე ოპერაციების განხორციელების უფლება ერთი წლის ვადით მისცა, თებერვლის შემდეგ სამხედროებს აღარ გამოუყენებიათ ეს უფლება. უფრო მეტიც, ოფიციალურად გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „PKK-სთან დაპირისპირების მოგვარება მხოლოდ სამხედრო ძალებით შეუძლებელია“. ეს განცხადება თავისთავად მეტყველებს სამხედროების მარცხზე როგორც საგარეო, ისე საშინაო ასპარეზზე. 2008 წ. თურქეთის ხელისუფლებამ უშუალო კონტაქტი დაამყარა ქურთისტანის რეგიონულ მთავრობასთან.

2008 წ. თურქეთის გენერალური პროკურორი შეეცადა აეკრძალა AKP-ს საქმიანობა ისლამური კურსის საფუძველზე. სასამართლომ უარყო პროკურორის მოთხოვნა, მაგრამ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მხოლოდ ერთი მოსამართლე აღმოჩნდა AKP-ს დახურვის მოწინააღმდეგე.

2006-2008 წწ. შემობრუნების წერტილად შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო სექტორისა და სამხედროების დაპირისპირებაში. პირველად თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში ეს დაპირისპირება სამოქალაქო სექტორის სასარგებლოდ დასრულდა.

2008-2011 წწ. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის პოზიციები ყველაზე ძლიერი იყო. საბიუჯეტო დეფიციტი და უმუშევრობის დონე ქვეყანაში რეკორდულად დაბალი იყო. AKP-მ ასევე მოახერხა უპირატესობის მოპოვება სამხედროებზე. 2011 წ. გენშტაბის უფროსი ერდოღანთან უთანხმოების შემდეგ გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. იმავე დღეს თანამდებობები დატოვეს არმიის, ფლოტისა და ავიაციის ხელმძღვანელებმაც. 2012 წ. დასაწყისისათვის თურქეთის ადმირალების ნახევარი და ყოველი მეათე გენერალი მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის ბრალდებით პატიმრობაში იმყოფებოდნენ.

2013 წ. ივლისში თურქეთის შეიარაღებული ძალების შიდა რეგულაციებიდან ამოიღეს 35-ე მუხლი, რომელიც ავალდებულებდა არმიას დაცვა თურქეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონები. ეს მუხლი ქვეყნის პოლიტიკაში არმიის ჩარევის კანონიერ უფლებად აღიქმებოდა.

AKP თავს წარმოაჩენს, როგორც ერთადერთ პოლიტიკურ პარტიას, რომელმაც თურქეთში „სისტემის ნორმალიზება“ შეძლო. ამ განცხადების მიხედვით სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ხელისუფლებაში მოსვლამდე ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება რელიგიასა და პოლიტიკას, ტრადიციასა და თანამედროვეობას, რელიგიასა და სახელმწიფოს და სახელმწიფოს, საზოგადოებასა და პიროვნებას შორის არსებული დაპირისპირებებით განისაზღვრებოდა. AKP-ს წარმომადგენლები „სისტემის ნორმალიზებას“ განმარტავენ, როგორც პოლიტიკური მეურვეობის დასასრულსა და საზოგადოების გათავისუფლებას.

ქემალისტურ დროს ზემოდან ქვემოთ განხორციელებულმა რადიკალურმა მოდერნიზაციამ ვერ მოახდინა გავლენა თურქეთის მთლიან საზოგადოებაზე. ქვეყნის მკაცრმა სეკულარიზაციამ, არარელიგიური ცხოვრების სტილის პროპაგანდამ და პროევროპულმა გეოპოლიტიკურმა კურსმა თურქეთისა და დასავლეთის დაახლოება გამოიწვია. ამასთან, ქვეყნის შიდა პოლიტიკური კურსი საგარეოსგან მკვეთრად განსხვავდებოდა და თურქული სუვერენიტეტის დასაყრდენს ნაციონალიზმში ხედავდა. შედეგად, მოკლე დროში უფსკრული ქემალისტურ ცენტრსა და ანატოლიურ პერიფერიას შორის დაუძლეველი გახდა. 1980-იან წლებში, თურგუთოზალის მთავრობის დროს, თურქეთის კაპიტალიზმის განვითარებამ ყველაზე მეტად სწორედ ცენტრალური ანატოლიის კონსერვატულად განწყობილი ბიზნესმენები გაამდიერა. მათ აქტიურად დაიწყეს მონაწილეობის მიღება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ძირითადი დასაყრდენი ძალა გახდნენ.

AKP განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახლო აღმოსავლეთს. მისი საკმაოდ აგრესიული საგარეო პოლიტიკური კურსი მიმართული იყო რეგიონში თურქეთის პოზიციების გამყარებისაკენ. ამან მთავრობას ქვეყნის შიგნით ძალების კონსოლიდაციის საშუალება მისცა. რეგიონში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება მომგებიანი იქნებოდა ანა-

ტოლიელი ბიზნესმენებისათვის, რომლებიც სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ძალაუფლების გარანტორები არიან.

იდეოლოგიურადაც, თურქეთის დაბრუნება რეგიონის პოლიტიკურ არენაზე მთავრობის ანტიქემალისტური რიტორიკის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ერთბაშად AKP-მ დაიწყო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსის კრიტიკა და ოსმალეთის იმპერიის, როგორც ძლიერი და პატივცემული სახელმწიფოს, პროპაგანდა. „ჩვენ ოსმალების შვილიშვილები ვართ“ – განაცხადა რეჟეფ თაიფ ერდოღანმა ერთ-ერთი ინტერვიუს დროს. თურქეთის მთავრობა ცდილობს ქემალისტური რეჟიმი ჩაანაცვლოს „ახალი თურქეთის“ იდეით. 2014 წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე გაკეთებული განცხადების მიხედვით, ქვეყანა მხოლოდ ახლა აღებს „ახალის თურქეთის“ კარს, მაგრამ ეს შესაძლებელი AKP-ს მიერ 12 წლის განმავლობაში გატარებული რეფორმების შემდეგ გახდა.

ბოლო პერიოდში თურქეთის პოლიტიკის აღსანიშნავად სულ უფრო ხშირად იყენებენ ტერმინს „ნეოტომანიზმი“. იმის მიუხედავად, რომ სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერები უარყოფითად არიან განწყობილნი თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ამ ტერმინით განმარტების მიმართ, შიდა პოლიტიკურ ასპარეზზე ისინი არ ეწინააღმდეგებიან ამგვარ განსაზღვრებას.

სამართლიანობისა და განვითარების პარტია ცდილობს ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ნეოტომანიზმის საკუთარი ხედვა დაამკვიდროს:

1. იგი ცდილობს დინასტიური ხაზი გაავლოს ოსმანის დინასტიის წევრებსა (კერძოდ აბდულ ჰამიდ II-სა) და AKP-ს ზოგიერთ ლიდერს შორის (აქაც განსაკუთრებული ყურადღება პრეზიდენტ ერდოღანს ეთმობა).

2. დაამტკიცოს, რომ ოსმალეთის ისტორიული მოწინააღმდეგეები უცვლელი დარჩნენ და ისინი თურქეთის წინააღმდეგ მოქმედებენ.

3. AKP-ს აქვს პრეტენზია, რომ მისი პოლიტიკური ხედვები ოსმალეთის იმპერიის (ისევ და ისევ, განსაკუთრებით, აბდულ ჰამიდ II-ის) პოლიტიკური კურსის გაგრძელება იყოს.

აბდულ ჰამიდის მემკვიდრეობის აღდგენის მცდელობაში სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ საკუთარი თავი წარადგინა, როგორც ოსმალეთის იმპერიის ლიბერალური და მულტიკულტურული მემკვიდრეობის გამგრძელებელი. „თურქეთის უკიდურეს ჩრდილოეთ და სამხ-

რეთ ქალაქებს შორის გზის გაყვანით ერდოღანმა სულთან აბდულ ჰამიდის ოცნება განახორციელა“ – განაცხადა AKP-ს პრესმდივანმა.

თურქეთის ხელისუფლება ასევე აქტიურად ცდილობს საკუთარი და პარტიის მნიშვნელობა ერთის და მეორის სახელმწიფოსთან ან ერთან გაიგივებით გაამყაროს. დავუთოდლუს მიერ გაკეთებულ ერთ-ერთ განცხადებაში ნათქვამია: „AKP არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც სპეციფიკური პოლიტიკური კონიუნქტურის გამო შეიქმნა. არ შექმნილა იგი არც რომელიმე სპეციფიკური ჯგუფისათვის. AKP თვითონ არის, იგი ერის მანიფესტაციის გამოძახილია“.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ თურქეთის პოლიტიკური კურსის აღსანიშნავად, „ნეოოტომანიზმის“ ტერმინის დამკვიდრების მიუხედავად, მეცნიერთა ნაწილი უფრო მართებულად ტერმინ „პანისლამიზმს“ მიიჩნევს. ოსმალური იდეოლოგია აერთიანებდა არა მარტო მუსლიმებს, არამედ არამუსლიმებსაც (კერძოდ, ბულგარელებს, სომხებს, ებრაელებს და ა.შ.). ამის საწინააღმდეგოდ, თურქეთის დღევანდელი მთავრობის მიდგომა სულთან აბდულ ჰამიდ II-ის პანისლამისტურ პოლიტიკას უფრო ჰგავს (პრინციპში, თურქეთის მთავრობას სწორედ მის მემკვიდრეობაზე აქვს პრეტენზია), რომელიც ისლამურ სოლიდარობაზეა დამყარებული. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აბდულ ჰამიდ II-ის პანისლამიზმი ოსმალეთის მუსლიმი საზოგადოების დაცვისაკენ იყო მიმართული, მაშინ როდესაც დავუთოდლუს პანისლამიზმს უფრო ექსპანსიური სახე აქვს.

2012 წ. თებერვალში, მაშინ პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა განაცხადა, რომ მისი მიზანია: „ღვთისმოსავი თაობის გაზრდა“. ამ განცხადების შემდეგ თურქეთში დაიწყო განათლების სისტემის რეფორმა, რომელიც ამ უკანასკნელის ისლამიზაციისაკენ იყო მიმართული.

1997 წ. პოსტმოდერნისტული გადატრიალების შემდეგ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა სავალდებულო სწავლების 8 კლასამდე გაზრდა იყო. უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებიც შეიცვალა ისე, რომ იმამ-ჰატიბის (პროფესიული სკოლები თურქეთში, რომლებიც იმამებს ამზადებს მეჩეთში მსახურებისათვის. ეს სკოლები ათათურქის მიერ მედრესეების გაუქმების შემდეგ ჩამოყალიბდა) კურსდამთავრებულები განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდებოდნენ.

2012 წ. თებერვალში სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ დაიწყო რეფორმა სახელწოდებით 4+4+4. ერთი შეხედვით, კანონი სავალდებულო სწავლებას კიდევ 4 წლით ზრდიდა, მაგრამ სინამდვილეში რეფორმა საპირისპიროდ მოქმედებდა. მე-5 კლასიდან ნებადართულია პროფესიულ სკოლებში სწავლება, მათ შორის იმამ-ჰატიბის სკოლებში. კანონი ასევე უფლებას აძლევს მშობლებს, სახლში ასწავლონ საკუთარ შვილებს 4 კლასის შემდეგ. შედეგად, სოფლებში საშუალო სკოლებში მკვეთრად შემცირდება გოგონების რაოდენობა, რომლებსაც მშობლები უბრალოდ აღარ გაუშვებენ სკოლებში.

რეფორმამ რელიგიური სკოლები საგანმანათლებლო სისტემაში ერთ-ერთი ალტერნატივიდან ცენტრალურ სისტემამდე აიყვანა. ახალი კანონი ყველა საშუალო სკოლაში, იმამ-ჰატიბის სკოლების გარდა, მისაღებ გამოცდებს ითვალისწინებს. შესაბამისად, მოსწავლეები, რომლებიც ვერ ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს, ძალაუნებურად აღმოჩნდებიან რელიგიურ სასწავლო დაწესებულებებში.

2013 წ. აგვისტოში 1 112 000 მოსწავლე აბარებდა მისაღებ გამოცდას საშუალო სკოლებში, სადაც სულ 363 000 ადგილი იყო. მათთვის, ვინც ვერ ჩააბარა გამოცდა, იყო რამდენიმე ალტერნატივა:

1. პროფესიული სკოლები
2. იმამ-ჰატიბის სკოლები

3. მულტიპროგრამული საშუალო სკოლები (მაგრამ ეს უკანასკნელი ყველა რეგიონში არ არის წარმოდგენილი).

შედეგად, 40 000-მდე მოსწავლე ავტომატურად აღმოჩნდა იმამ-ჰატიბის სკოლებში, მათ შორის საკმაოდ ბევრნი იყვნენ ალავიტები და სომხები.

რეფორმამ აგრეთვე მნიშვნელოვნად გაზარდა საჯარო სკოლებში რელიგიური მასალის რაოდენობა. ხელისუფლებამ ამ კურსს „რელიგიური კულტურა და მორალური ღირებულებები“ დაარქვა, რათა მისთვის უფრო ფართო ხასიათი მიეცა, მაგრამ რეალურად ისწავლება მხოლოდ სუნიტური ისლამი, რაც მთლიანად უარყოფს ქვეყანაში რელიგიური უმცირესობების უფლებებს. სავალდებულო გახდა ოსმალური ენის სწავლება დაწყებითი კლასებიდან ზევით.

2013 წ. დადგენილებით, ქურთებს მიეცათ კერძო სკოლებში ქურთულად სწავლების უფლება, მაგრამ 2014 წლისათვის მთავრობამ ამ სკოლებზე ზეწოლა გააძლიერა და რამდენიმე მათგანი მალევე დახურეს.

2012 წ. მიღებული კანონის მიხედვით, შესაძლებელი გახდა საშუალო სკოლების იმამ-ჰატიბის სკოლებად გადაკეთება. თურქეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ დიდი მოთხოვნის გამო მიიღეს, მაგრამ რეალურად პროცესი პირიქით მიმდინარეობს. აუცილებელი გახდა აგრეთვე ეთნიკურად თურქი დირექტორი არამუსლიმურ სკოლებში.

AKP-ს მმართველობის დროს გაძლიერდა დიანეთის ინსტიტუტი (ეს ინსტიტუტი თავდაპირველად შეიქმნა, როგორც სახელმწიფო ბერკეტი რელიგიაზე ზეწოლისათვის. AKP-ს დროს იგი პირიქით, სახელმწიფო სახსრებით ეწევა რელიგიის პროპაგანდას). 2014 წ. დიანეთის ბიუჯეტი 2.6 მილიარდ აშშ. დოლარს შეადგენდა. შედარებისათვის ეს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის 160% და ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის 180% .

შედეგად, შეიძლება დაირღვეს სოციალური ბალანსი სუნიტურ და არასუნიტურ მოსახლეობას შორის. საბოლოო ჯამში, საგანმანათლებლო სისტემის ისლამიზაცია აუცილებლად იქონიებს გავლენას თურქეთის მომავალ პოლიტიკურ კურსზე და კულტურულ ფასეულობებზე.

2013 წ. შემობრუნების წერტილად შეგვიძლია მივიჩნიოთ სამართლიანობისა და განვითარების ეტაპი პარტიის მმართველობაში. მაისის ბოლოს დაიწყო გეზის პარკის გამოსვლები, სადაც ნათლად გამოჩნდა რეჟეგ თაიფ ერდოღანის, თურქეთის მაშინდელი პრემიერ მინისტრის ავტორიტარიზმი და რეალურად თუ რამდენად დაშორდა მმართველი პარტია იმ დემოკრატიულ საფუძვლებს, რომლებზე დაყრდნობითაც ის მოვიდა თურქეთის სათავეში.

მას შემდეგ, რაც პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის დაპირისპირებამ უკიდურესად სასტიკი ხასიათი მიიღო, რეჟეგ თაიფ ერდოღანი აქციის მონაწილეებს ტერორისტებად მოიხსენიებდა და ხაზს უსვამდა, რომ რაიმე სახის კომპრომისი გამორიცხებული იყო. იგი ასევე მკვეთრად რეაგირებდა ტაქსიმისა და თაჰრირის მოედნების შედარებაზეც.

კიდევ ერთი გახმაურებული ინციდენტი თურქეთში 2013 წლის 17 დეკემბერს დაიწყო, როდესაც პოლიციამ დააკავა ქრთამის ადებაში ეჭვმიტანილი რამდენიმე ათეული ადამიანი, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრის, ეკონომიკის მინისტრისა და გარემოს დაცვისა და ურბანული დაგეგმარების მინისტრის შვილები. აღნიშნულ პირებს ბრალად ტენდერებ-

ში გამარჯვების სანაცვლოდ ქრთამის აღება და ირანში ოქროს კონტრაბანდა ედებოდათ.

ერდოღანმა უარყო კორუფციის საკითხზე წარდგენილი მტკიცებულებები და განაცხადა, რომ ისინი „პარალელური სახელწიფოს“, ანუ ფეთ-ჰულაგიულენის მიმდევრების მიერ იყო გაყალბებული. გახმაურებული სკანდალის შემდეგ, ერდოღანი ღიად და აქტიურად დაუპირისპირდა პოლიციას. 45 000-ზე მეტი პოლიციის ოფიცერი და 2 500 მოსამართლე და პროკურორი ახალ თანამდებობებზე დანიშნეს. მედიასაშუალებები, რომლებიც კორუფციის თემას მთავრობისათვის მიუღებელი კუთხით აშუქებდნენ, დახურეს ან დაიწყეს გამოძიება მათ წინააღმდეგ. 30-ზე მეტი რედაქტორი და პროდიუსერი, რომელთაც ჰქონდათ კავშირი გიულენის მოძრაობასთან, ტერორისტული ორგანიზაციის ჩამოყალიბების ბრალდებით დააკავეს.

რაც უფრო მეტად ძლიერდებოდა სამართლიანობისა და განვითარების პარტია, მით მეტად ავტორიტარული ხდებოდა თურქეთის ხელისუფლება. დროთა განმავლობაში ერდოღანი გახდა ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტებს საკუთარი ინტერესებისათვის იყენებს. ამან ხაზი გადაუსვა AKP-ს წინა მიღწევებს და თურქეთი ავტორიტარულ, არასტაბილურ სახელმწიფოთა რიცხვში მოახვედრა.

საერთაშორისო მედიის თავისუფლების აღმნიშვნელ სიაში თურქეთმა 98-ე ადგილიდან (2005 წ. მონაცემები) 154-ე ადგილზე (2014 წ. მონაცემები) გადაინაცვლა. თითქმის ყველა დიდი მედიაჯგუფი თურქეთში უფრო დიდი ჰოლდინგური კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს. ასეთ კომპანიებს ან პოლიტიკურ პარტიებთან აქვთ კავშირი, ან ვერ უძლებენ მათგან ზეწოლას. შესაბამისად, ისინი არ არიან სახელმწიფოსთან დაპირისპირებით დაინტერესებულნი. ამასთან, ხელისუფლება, კერძოდ, რეჯეფ თაიფ ერდოღანი, ხშირად სასამართლოში უჩივის თურქეთის მოქალაქეებს მისთვის არასასურველი ინფორმაციის გაჟღერებისათვის (2013 წ. გეზის პარკის პროტესტების თაობაზე დაწერილ წიგნში, ერდოღანის შეურაცხყოფისათვის ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს წიგნის ავტორს, ეროლ ოზქორაის).

2014 წ. ხელისუფლებამ მიიღო ახალი კანონი, რომელიც ტელეკომუნიკაციების დირექტორატის უფლებების გაფართოებას ითვალისწინებდა.

ეს საჭირო გახდა, რათა დაებლოკათ არასასურველი საიტები და მომხდარიყო მომხმარებელთა მიერ მოდიებული ინფორმაციის შეგროვება. სასამართლოს გადაწყვეტილებით თურქეთში აკრძალულია 70 000-მდე ინტერნეტგვერდი, აქედან 16 000 მხოლოდ 2014 წ. დახურეს. ხშირია სოციალური ქსელების: Facebook, Twitter, Youtube და ა.შ. გათიშვის ფაქტებიც. თურქეთის მთავრობა ხშირად ითხოვს აგრეთვე მისთვის არასასურველი ინფორმაციის ამოღებას აღნიშნული საიტებიდან.

ამავე წელს მიღებული კანონით, ეროვნული დაზვერვის ორგანიზაციას მიენიჭა მეტი უფლებამოსილება სათვალთვალო ოპერაციების განხორციელებისას. კანონი აგრეთვე ითვალისწინებდა მკაცრ სასჯელს კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროების შემთხვევაში.

უფლებამოსილება გაეზარდა აგრეთვე იუსტიციის მინისტრს, მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭოს საწინააღმდეგოდ (ეს უკანასკნელი წყვეტს მოსამართლეების დანიშვნას). მართალია, კანონის ნაწილი გაბათილდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, მაგრამ ამ ეტაპისთვის მთავრობამ მოახერხა გადაეყენებინა ან ჩაენაცვლებინა უმაღლესი საბჭოს დიდი ნაწილი, ასევე 100-მდე მოსამართლე AKP-სადმი ლოიალურად განწყობილი მოსამართლეებით ჩაანაცვლა. შესაბამისად, ოქტომბერში, როდესაც უმაღლესი საბჭოს ახალ წევრებს ირჩევდნენ, უმრავლესობა სამართლიანობისა და განვითარების მომხრეებს წარმოადგენდნენ.

2013 წ. გეზის პარკის გამოსვლების შემდეგ, მთავრობა განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენს საპროტესტო აქციების მიართ. 2015 წ. მარტში მიღებული კანონი, „დაცვისა და თავისუფლების პაკეტი“, პოლიციას მეტ თავისუფლებას აძლევს იარაღის გამოყენების, დაკავების, ადამიანისა და ქონების ჩხრეკის, სატელეფონო მოსმენის საკითხებში (48 საათის განმავლობაში შეუძლიათ უსმინონ სასამართლოს დადგენილების გარეშე).

სიმბოლურია აგრეთვე მთავრობის მიერ ძველი ბიზანტიური ტაძრებისათვის მეჩეთის ფუნქციის დაბრუნება. ოსმალეთის იმპერიის დროს ქრისტიანული ტაძრები მეჩეთებად გადააკეთეს, მაგრამ, რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ, მათ მუზეუმის სტატუსი მიენიჭათ. სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ მეჩეთის ფუნქცია დაუბრუნა წმ. სოფიას ტაძრებს იზნიცსა (2011 წ.) და ტრაპიზონში (2013 წ.).

2013 წ. გიულენის მოძრაობასთან დაპირისპირების შემდეგ, მთავრობისათვის ნათელი გახდა სამხედროების მხარდაჭერის აუცილებლობა. ერდოღანმა და მისმა გარემოცვამ აქტიურად დაიწყო სამხედროების წინააღმდეგ განხორციელებულ დონისძიებებში გიულენისტების გავლენის შესახებ საუბარი. გასულ წელს ერდოღანმა გიულენის მიმდევრები შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ კონსპირაციაში დაადანაშაულა.

2014 წ. ბათილად გამოცხადდა გენშტაბის ყოფილი უფროსისათვის, ილქერბასზულისათვის, გადატრიალების მოწყობის მცდელობისათვის მისჯილი სამუდამო პატიმრობა. ერდოღანმა თავად დაურეკა ილქერბასზულს, მიულოცა გათავისუფლება და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში სხვა სამხედრო ოფიცრებიც იმავე ბედს გაიზიარებდნენ. 2014 წ. მარტში ჩამოყალიბდა სპეციალური სასამართლოები, რომლებიც გადატრიალების მცდელობაში ბრალდებულების საქმეების გადახედვით იყვნენ დაკავებულები. განმეორებითი სასამართლოს შემდეგ 200-ზე მეტი სამხედრო გაათავისუფლეს ციხიდან.

2014 წ., პირველად თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში, საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა პირდაპირი წესით. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა თურქეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა და სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ერდოღანმა სურვილი გამოთქვა აქტიური მონაწილეობა მიეღო ქვეყნის მართვაში, პრეზიდენტის ცერემონიალური პოსტის მიუხედავად. იგი ესწრება მინისტრთა საბჭოს სხდომებს, ნატოს შეხვედრებს, აქტიურად მონაწილეობს საკანონმდებლო საქმიანობაში (ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრემიერ-მინისტრის უშუალო ფუნქციას წარმოადგენს), ამასთან, მას არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა აღნიშნულ საკითხებში. იმის მიუხედავად, რომ ერდოღანის აქტიური პოლიტიკური საქმიანობა თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის უხეში დარღვევაა, ასეთ ვითარებაშიც კი მას მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი უჭერს მხარს.

სამართლიანობისა და განვითარების პარტია იყო ერთადერთი ძალა, რომელმაც აღიარა ქვეყანაში „ქურთული საკითხის“ არსებობა და დაიწყო მოლაპარაკებები ქურთების პარტიზანულ ძალებთან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ AKP-ს პოლიტიკა ქურთების მიმართ არასტაბილური

იყო და მთავრობა პერიოდულად უბრუნდებოდა ნაციონალისტურ რიტორიკას. დაპირებების მიუხედავად, AKP-ს არ გაუტარებია რაიმე მნიშვნელოვანი რეფორმები ქურთების უფლებების გაზრდისა და მათი პოლიტიკაში მეტი ჩართულობისათვის. ამის საწინააღმდეგოდ, ხელისუფლება აკეთებს განცხადებებს, რომ არ შეიძლება დემოკრატიაზე იყოს საუბარი, როცა ქვეყანა ტერორიზმის საფრთხის წინაშე დგას.

2015 წ. ზაფხულში განვითარებული მოვლენების შემდეგ თურქეთის მთავრობამ შეწყვიტა ქურთებთან სამშვიდობო მოლაპარაკებები „სამშვიდობო პროცესის გაგრძელება შეუძლებელია“ – განაცხადა ერდოღანმა. ქურთულ ძალებთან დაპირისპირებაში იგი იძულებულია მხარდაჭერისათვის მიმართოს იმ სამხედროებს, რომელთა გავლენის შესუსტება დღევანდელი მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად ითვლება. ქურთებთან ბრძოლაში ხელისუფლება იძულებული იქნება ისევ სამხედროებს დაეყრდნოს.

2002 წ. ვადადელი არჩევნები გადამწყვეტი აღმოჩნდა თურქეთის ისტორიაში. პარლამენტში უმრავლესობა პროისლამურმა პარტიამ მოიპოვა, მაგრამ ამის მიუხედავად, არ უცდიათ გაებათილებინათ არჩევნების შედეგები. AKP-მ ამ არჩევნებში 34% დააგროვა, მაგრამ, იმის გამო, რომ ხმების 46% იმ პარტიებზე გადანაწილდა, რომლებმაც ვერ გადალახეს 10%-იანი ბარიერი, პარტიამ მეჯლისში ადგილების 66% დაიკავა.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ხელისუფლებაში მოსვლამდე თურქეთის პოლიტიკური სტრუქტურა აღიქმებოდა როგორც მუდმივი დაპირისპირება პროდასავლურ სეკულარისტებსა და ისლამურ კონსერვატორებს შორის. AKP-ს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ თურქეთმა შეძლო თავი დაეღწია ამგვარი პოლიტიკისაგან და ჩამოყალიბდა „ისლამურ დემოკრატია“. დღევანდელი გადმოსახედიდან ე.წ. „ახალი თურქეთი“ რიგი დემოკრატიული რეფორმების თანხლებით კონსერვატული ისლამური იდეოლოგიის გაძლიერებასა და მნიშვნელოვან ავტოკრატიულ თვისებებსაც აერთიანებს.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში თურქეთი არ გამხდარა ლიბერალური დემოკრატია, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ AKP არის ისლამური პარტია, რომელმაც უფრო მეტი რეფორმა გაატარა, ვიდრე ნებისმიერმა სეკულარულმა მთავ-

რობამ აქამდე. თუმცა, ცვლილებების მიუხედავად, თურქეთი (როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოება) მაინც დარჩა ავტორიტარიზმის, ძალადობით, კონსერვატულ-პატრიარქალური მენტალობით, კორუფციითა და ნეპოტიზმით გაყდენილი კულტურის გავლენის ქვეშ. შესაბამისად, როდესაც AKP-ს პოლიტიკური კურსი შეიცვალა და მკვეთრად ავტორიტარული ხასიათი მიიღო, ამას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი პროტესტი საზოგადოებაში.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობამ შეუქცევადად შეცვალა თურქეთის პოლიტიკური სტრუქტურა. თუმცა დღეს რთული სათქმელია, რა იქნება ამ ცვლილებების საბოლოო შედეგი. ცხადია, რომ სეკულარულ, ქემალისტურ დოქტრინაზე დაფუძნებული რესპუბლიკა დღეს აღარ არსებობს. დღევანდელი თურქეთის პოლიტიკური სისტემა რეალურად ერდოღანზე და თურქეთის მოსახლეობის იმ ნაწილზეა აგებული, რომელიც უპირობოდ უჭერს მას მხარს. მისი ძალაუფლება მართალია უსაზღვრო არ არის, მაგრამ საკმარისი იმისათვის, რომ არ ჰყავდეს ღია მოწინააღმდეგე. იმის მიუხედავად, რომ თურქეთი აუცილებლად გააგრძელებს ევროკავშირთან მოლაპარაკებებს, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ერდოღანის მმართველობის პერიოდში თურქეთი დაუბრუნდეს დემოკრატიზაციის გზას. უფრო რეალურია, თუ ვივარაუდებთ, რომ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები კიდევ უფრო ხისტ ხასიათს მიიღებს.

Tamta Bokuchava

Professor of Ilia State University, Tbilisi, Georgia

From Secular to Political Islam

Turkey is undergoing profound changes. In the last two decades, Turkish society has become more complex and differentiated as a new class of politicians, entrepreneurs, and activists has emerged and accumulated political power. The Justice and Development Party (Adalet ve Kalkınma Partisi, AKP) represents this new elite. The AKP is a political party with clear Islamic roots. It pragmatically moved to the center-right over a decade, mainly to escape the fate of its defunct predecessors. Since 2002 the party has held an overwhelming majority in Turkey's legislature, the Grand National Assembly.

The concept of a "New Turkey" has been used to refer to the widely held opinion, both in Turkey and in the Western world, according to which the AKP's coming to power in 2002 started a whole new era in Turkish political history, and that a significant democratization and "normalization" process was on its way. But seen from today's perspective, the building of a "New Turkey" has had a second, much more powerful face, namely that of consolidating an intolerant Islamic-conservative ideology and constituency.

There are increasing indications of the AKP becoming more and more decisive about returning to its Islamist roots, for example by implementing education policies aiming to produce "pious generations", and signs that government control over the judiciary, media, and civil society will be further tightened. During the last ten years AKP has secured an electoral hegemony in Turkey. It also succeeded in building an Islamic-conservative constituency that feels existentially attached to the party and its declared cause.

Evolution of Russia's National Security Strategy and its implication for Georgia

By the end of December 2015 president of Russian Federation Vladimir Putin signed a decree establishing new National Security Strategy. For the last 25 years of state existence it is the fifth document that openly emphasizes rivalry between Russia and the West. Moreover, it is mainly focused on state's global geopolitical aims.

